

შპს ტიბია ს/კ 202238060

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ტიბია" ს/კ 202238060 რეგისტრირებულია 11/08/2004 რეგისტრაციის ნომრით 2/4-4023	იურიდიული მისამართი:თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი,ბესიკის#4, სართული4,ბინა 14
---	---

პარტნიორები:

კახა გვასალია	პ/ნ 01030002213	წილი 33%
პაპუნა ქობალია	პ/ნ 19001015707	წილი 33%
კობა ჯახია	პ/ნ 62006056984	წილი 34%
ხელმძღვანელი		
კობა ჯახია	პ/ნ 62006056984	

საქმიანობის სფერო

--

შპს ტიბია არის ამერიკული კომპანია Zimmer Biomet-ის ოფიციალური და ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სახსრების ენდოპროთეზებით (იმპლანტებით) ვაჭრობა. თავდაპირველად სარეალიზაციო პროდუქციის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრის ენდოპროთეზები, ხოლო შემდგომ მოხდა ნომენკლატურის გაფართოება და სხვადასხვა მოდილიკაციის ორთოპედიული და ტრავმატოლოგიური იმპლანტების შემოტანა საქართველოში, ასევე დაემატა სტომატოლოგიური ხაზიც. კომპანია უმთავრესად საქმიანობს საქართველოს სხვადასხვა კლინიკებთან და სადაზღვევო კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ასევე მონაწილეობს გამოცხადებულ ტენდერებში და გამარჯვების შემთხვევაში ახდენს შესაბამისი ენდოპროთეზების მიწოდებას კლინიკებისთვის.

კომპანია ასევე ახორციელებს Zimmer Biomet-ის პროდუქციის რეექსპორტს ქვეყნებში, რომელიც განსაზღვრულია Zimmer Biomet-თან გაფორმებული გენერალური კონტრაქტის ფარგლებში. რეექსპორტი ხორციელდება ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა - სომხეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და თურქმენეთი. 2020 წლისთვის კომპანიას ქონდა ძალიან აქტიური გეგმები, 2020 წლიდან აქტიურად იგეგმებოდა ხერხემლის და სპორტული მედიცინის ხაზის განვითარება, კონფერენციები, ტრენინგები და ღონისძიებები ახალი მიმართულებების დასაგეგმად, თუმცა პანდემიით გამოწვეული გართულებების გამო ყველა ღონისძიება გადაიდო და ახალი მიმართულებების განვითარება შეფერხდა. კომპანიის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია ასევე იმას, რომ კლინიკების გადატვირთულობის გამო გადაიდო ყველა გეგმიური ოპერაცია და შემცირდა ბრუნვები. ასევე კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესი ზარალის გამომწვევი გახდა კურსის ცვლილება, რადგან შესყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში, ხოლო გაყიდვა ადგილობრივ ვალუტაში, გაყიდვის ფასი ფიქსირებულია რადგან ხელშეკრულებები დადებულია მინიმუმ ერთი წლით სადაზღვევო კომპანიებთან, ამ გარემოებებიდან გამომდინარე, საკურსო სხვაობიდან გამომწვეული ზარალიც დიდი იყო 2020 წელს. კომპანია იმედოვნებს რომ მომავალ პერიოდში დაძლეულ იქნება მსგავსი პრობლემები და შევძლებთ ჩვენი გეგმების განხორციელებას.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ერთი გარემოება - კომპანია Zimmer Biome-ს აუდიტის დეპარტამენტმა მოახდინა შპს ტიბიას სრული შემოწმება 2020 წლის პერიოდზე, შემოწმება მოიცავდა როგორც ფინანსურ, ასევე იურიდიულ, და ორგანიზაციულ საკითხებს. აღნიშნული აუდიტი შპს ტიბიამ წარმატებით გაიარა.

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მცირე და საშუალო საწარმოთათვის. (ფასს მსს)

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მზადდება კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის, ხოლო არაფულადი მუხლების გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრული შემოსავლებისანგარიშებაში. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტოკურსით. 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	3.2766	4.0233
საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი საშუალო კურსი	3.1097	3.5519

2.ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

შპს ტიბიამ 2017 წელს დააფუძნა ერთობლივი უკრაინული კომპანია ZBEST- 50% წილით. 2019 წელს აღნიშნული კომპანიის კაპიტალში შენატანს შეადგენდა 5000\$-13285.00 ლარს. 2019 წელს შპს ტიბიას-ს მიერ მიერ დაფუძნებული უკრაინული კომპანია კომპანია ZBEST - დან არ მიუღია დივიდენდი. 2020 წელს გადაწყდა კომპანია ZBEST-ის დახურვა, რადგან ვერ მოხერხდა ეკონომიკური საქმიანობის წარმატებულად წარმართვა. კომპანია აჟამად არის დახურვის პროცესში და შპს ტიბიას არ გააჩნია კონტროლი და კონსლიდაციის საფუძველი ამ კომპანიასთან მიმართებაში.

კომპანია ინვესტიციებს აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით რაც გულისხმობს თავდაპირველად ინვესტიციაში გადახდილი თანხით შეფასებას ხოლო შემდგომ აღიარებას გაუფასურებული ზარალის გამოკლებით, თუკი ამის ობიექტური მტკიცებულება არსებობს. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებ/ზარალში. მიღებული დივიდენდი აღირიცხება შემოსავლის სახით. 2020 წელს ზემოთ აღნიშნულ კომპანიებში შენატანი არ განხორციელებულა.

3. ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

[illegible]

2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	55,738	2,541	10,020	5,778	3,555	2,488	142,674	126,217	349,011
პერიოდის ცვთა	9,762	445	1,758	1,012	1,891	1,244	26,317	116,042	158,471
გასულის ცვთა	0	0	0	0	0	0	0	0	0
ჩამოწერილის ცვთა	0	0	0	0	0	0	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	65,500	2,986	11,778	6,790	5,446	3,732	168,991	242,258	507,482
წმ.საბალანსო ღირებულება 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	139,496	6,359	25,138	14,462	5,466	4,482	353,044	483,434	1,031,880
წმ.საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	129,734	5,914	23,380	13,450	3,574	3,238	342,470	503,274	1,025,033

აღიარება თავდაპირველად ხდება პირვანდელი ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითად საშუალებებზე გაწეული შეძენის შემდგომი დანახარჯები, რომლებიც ზრდიან ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ვადას ან მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს, კაპიტალიზირდება. ყველა სხვა ხარჯი კი აისახება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შედეგი აღიარდება სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები: • შენობა-ნაგებობები 50 წლამდე • საოფისე ინვენტარი 3-8 წლამდე • ავეჯი და სხვა 3-10 წლამდე • ტრანსპორტი 8-10 წლამდე კომპანია ყოველი წლის ბოლოს გადახედავს მოძრავი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. 2020 წ. ბოლოს, რიც d/საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა თავიდან.
--

არამატერიალური აქტივები
31.12.2020 წ. მდგომარეობით

ისტორიული ღირებულება	ორის ბუღალტერია	ორის მენეჯერი	სულ
ანგარიში	2590	2590	
2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	600	5996	6596
შეძენა/კაპიტალიზაცია	0	0	0
გასვლა (რეალიზაცია)	0	0	0
გადატანა მასალებში (კვალიფიკაციის შეცვლა)	0	0	0
ჩამოწერა	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	600	5996	6596
ცვეთა			0
2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	240	1199.2	1439.2
პერიოდის ცვეთა	120	599.6	719.6
გასული ცვეთა	0	0	0
ჩამოწერილის ცვეთა	0	0	0

კომპანია არამატერიალური აქტივების სახით ფლობს მხოლოდ საბუღალტრო პროგრამებს, რომელსაც ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	360	1798.8	2158.8
წმინდა საბალანსო ღირებულება			0
2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	240	4197.2	4437.2

4. ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით.

ფულადი სახსრები შედგება ბანკებში არსებული როგორც შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან, ასევე სალაროს ფულადი ნაშთებისაგან.

მოთხოვნები წარმოიშობა საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დროს, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. ყოველი სამუშაო წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას, რათა განსაზღვროს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულების არსებობა.

დებიტორული დავალიანების შეფასება ხდება თითოეული დებიტორის მიმართ ინდივიდუალური მიდგომით. დებიტორული დავალიანება, რომელთა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია და სხვა ვალები, რომელთა ამოღება არარეალურია, ჩამოიწერება და მიეკუთვნება ფინანსურ შედეგებს.

მოთხოვნებს ასევე მიეკუთვნება, მომწოდებლისათვის წინასწარ გადახდილი თანხები. ასეთი თანხები მოთხოვნად რჩება მანამ, სანამ არ იქნება მოწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და გაწეული მომსახურება.

2020 2019

4.1 ფული და ფულის

ეკვივალენტები

ფული სალაროში	387.85	1182.01
ფული საბანკო ანგარიშებზე	350951.08	346589.72
	351338.93	347771.73

4.2 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები	1844410.2	1151007.8
--------------------	-----------	-----------

4.4 სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ (საქვანგარიშო თანხები)	250	0
--	-----	---

5. სასაქონლო მატერიალური

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	3543262.72	3422770.7
--------------------------------	------------	-----------

5. მარაგები. მარაგების საწყისი

აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები შედგება გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო მარაგისა და სხვა სხვა მარაგის საწვავისაგან, ეს უკანასკნელი მოიხმარება კომპანიის საქმიანობის ფარგლებში. სასაქონლო მატერიალური მარაგები აღირიცხება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, კომპანია ახდენს გასაყიდი საქონლის იმპორტს და ღირებულებაში შეიტანება ყველა ხარჯი დასაწყობებამდე საბაჟოზე დაგახდილი დღგ-ს ჩათვლით, ვინაიდან კომპანია არ არის დღგ-ს გადამხდელი. 2020წ. პერიოდის ბოლოსათვის კომპანია არ ფლობდა გაუფასურებულ სასაქონლო მარაგს.

6. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს კომპანიას. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავლები მიიმატება ფინანსურ შედეგებზე

სესხები ბალანსში აისახება წლის ბოლოსათვის გადასახდელი პროცენტის გათვალისწინებით. სესხის სარგებლობის დანახარჯები მიეკუთვნება პერიოდის მოგება ზარალს

6.1 სავაჭრო ვალდებულებები

2020 2019

სავაჭრო ვალდებულებები	4794022.54	3928585.2
სხვა ვალდებულებები	-	41593.98

6.2 საბანკო სესხები

2020 2019

კომპანიას გააჩნია პროკრედიტ ბანკში როგორც ბიზნეს სესხები ასევე საკრედიტო ხაზი:

პროკრედიტ ბანკის ბიზნეს სესხი
212 500 ლარი - 11%

ბიზნეს სესხი

მიმდინარე ნაწილი	9811.04	120812.93
გრძელვადიანი ნაწილი	0	0
	9811.04	120812.93

საკრედიტო ხაზი

მიმდინარე ნაწილი	0	0
გრძელვადიანი ნაწილი	0	0
	0	0

მიმდინარე ნაწილი	0	0
გრძელვადიანი ნაწილი	0	0
	0	0
ჯამში:	9811.04	120812.93

7. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

	ვალდებულებები	აქტივები
გადასახადების ერთიანი კოდი	41716.22	
საშემოსავლო გადასახადი	8095.43	
საპენსიო შენატანი		968.64
	49811.65	968.64

8. კაპიტალი

	2020	2019
საწესდებო კაპიტალი	2000	2000
კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	1967648	1567694
პერიოდის მოგება	285137	1139174
გაცემული დივიდენდი	-124954	-741220
პერიოდის მოგება (წინა წლის ხარვეზის კორექტირება)	-10109	
სულ კაპიტალი:	2119722.2	1967648.2

საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში აღირიცხება საწესდებო კაპიტალი, რეზერვები, გაუნაწილებელი მოგება. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. გაუნაწილებელი (დაგროვილი) მოგება შედგება კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წმინდა მოგებისაგან. კომპანიის რეზერვები იქმნება დაგროვილი მოგებიდან, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. დივიდენდი აღიარდება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო.

9. შემოსავლები და ხარჯები

შემოსავალი

შემოსავალი შედგება საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლებისაგან. მიღებული შემოსავლისაგან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	6338558.85
------------------------------------	------------

ხარჯები

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

თვითღირებულების
დანახარჯები

სასაქონლო ნაშთი პ/ დასაწყისში	3422770.71
შეძენა	4339272.45
სასაქონლო ნაშთი პ/ბოლოს	3543262.72
	4218780.44

რეალიზაციისა და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია
შემდეგი სახით

რეალიზაციის ხარჯები	
რეკლამის ხარჯი	0
ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები	1739.07
საწვავის ხარჯი	14750.02

16489.09

ადმინისტრაციული ხარჯი

რეკლამის ხარჯები	1206.00
დეკლარირების ხარჯები	2164.10
ტვირთის შენახვის და სატერმინალო მომსახურების ხარჯები	3740.18
შრომის ანაზღაურება	803051.43
სოციალური დანარიცხები	3158.31
საოფისე ხარჯები	6457.15
კომუნიკაციის ხარჯები	10790.00
დაზღვევა	43704.88
რემონტი	8968.00
კომპიუტერის ხარჯები	18.00
საკონსულტაციო ხარჯები	4330.05
ცვეთა და ამორტიზაცია	194431.39
სხვა საგადასახადო ხარჯი	10316.62
კომუნალური ხარჯები	3338.28
სხვა საერთო ხარჯი	86314.51

1181988.90

10. მოგების გადასახადი

მყიდველისათვის უსასყიდლოდ
მიწოდება, დოკუმენტურად
დაუდასტურებელი და
წარმომადგენლობითი ხარჯის
დაბეგვრა

19224.81

სხვადასხვა დაუდასტურებელი
ხარჯის დაბეგვრა მოგების
გადასახადით

709.59

განაწილებული დივიდენდის
შესაბამისი მოგების გადასახადი

18743.03

38677.43

11. სხვა სრული შემოსავლები და ხარჯები

**სხვა სრული შემოსავალი და
ხარჯი:**

არასაოპერაციო შემოსავლები
კურსთა შორის სხვაობიდან
შემენილი საქონლის უკან
დაბრუნება ფასდათმობა

68,850

160,053

განსაკუთრებული შემოსავლები	149,035
ქველმოქმედების ხარჯი	-1,450
საპროცენტო ხარჯები	-9,448
არასაოპერაციო ხარჯები	
გადაფასებიდან	-620,647
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-158,127
საქონლის უკან დაბრუნება	-224,429
	<u>-636163.92</u>

12. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

საწყისი ნაშთი	347771.73
მყიდველებიდან მიღებული ფ/ს	5,362,902
მომწოდებლებისათვის	-4,119,072
გადახდილი ფ/ს	
თანამშრომლებზე გადახდილი ფ/ს	-638,226
გადასახადებზე გადახდილი ფ/ს	-281,914
ბანკის მომსახურების ხარჯები	-4,042
მივლინების ხარჯები	-63,120
გადახდილი ბანკის პროცენტები	-9,448
ფულად ოპერაციებთან დაკავშირებული გადაფასების ხარჯი/შემოსავალი	-31,612
	215,469

ფულადი ნაკადები საინვესტიციო

$$\frac{1}{0}$$

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

მიღებული სესხები	-
გადახდილი სესხები	-111,002
გადახდილი დივიდენდი	-100,900
	-211,902
	351,339

დირექტორი: კობა ჯახია

Tibia
LLC

Digitally signed
by Tibia LLC
Date: 2021.09.30
13:32:22 +04'00'

შპს ტიბია ს/კ 202238060

პერიოდი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
აქტივები**

გრძელვადიანი აქტივები

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

ძირითადი საშუალებები

არამატერიალური აქტივები

სულ გრძელვადიანი აქტივები

2,020

2,019

108,259

99,050

1,025,033 1,031,880

2,159 5,157

1,135,451 1,136,087

მიმდინარე აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ (საქვეანგარიშო
თანხები)

სასაქონლო მატერიალური მარაგები

საგადასახადო აქტივი

სულ მიმდინარე აქტივები

351,339

347,772

1,844,410 1,151,008

250

0

3,543,263 3,422,771

48,843 33,348

5,788,105 4,954,898

სულ აქტივები

6,923,556 6,090,985

ვალდებულებები და კაპიტალი

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

საბანკო სესხები

საგადასახადო ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

4,794,023 3,928,585

9,811 120,813

32,345

41,594

4,803,834 4,123,337

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი

პერიოდის მოგება

პერიოდის მოგება (წინა წლის ხარვეზის კორექტირება)

გაცემული დივიდენდი

სულ კაპიტალი

2,000

2,000

1,967,648 1,567,694

285,137 1,139,174

-10,109 -

-124,954 -741,220

2,119,722 1,967,648

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

6,923,556 6,090,985

0

0

დირექტორი: კობა ჯახია

Tibia
LLC

Digitally signed
by Tibia LLC
Date:
2021.09.29
19:48:23
+04'00'

შპს ტიბია ს/კ 202238060

მთლიანი სრული შემოსავლების და მოგება

ზარალის ანგარიშგება

პერიოდი

2020

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან

6338559

მიწოდებული საქონლის თვითღირებულება

4218780

საერთო მოგება

2119778

რეალიზაციის და ადმინისტრაციული ხარჯები:

რეალიზაციის ხარჯი

16489

ადმინისტრაციული ხარჯი

1181989

სულ რეალიზაციის და ადმინისტრაციული ხარჯი

1198478

საოპერაციო მოგება

921300

სხვა სრული შემოსავალი და ხარჯი

-636164

დასაბეგრი მოგება

285137

დირექტორი: კობა ჯახია

Tibia
LLC

Digitally signed
by Tibia LLC
Date:
2021.09.29
19:45:22 +04'00'

შპს ტიბია ს/კ 202238060

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

პერიოდი

2020

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 215469

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან 0

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან -211902

სულ წმინდა ფულადი ნაკადები 3567

პერიოდის დასაწყისში ფ/ს 347772

პერიოდის ბოლოს ფ/ს 351339

სხვაობა 3567

დირექტორი: კობა ჯახია

Tibia
LLC
Digitally signed
by Tibia LLC
Date:
2021.09.29
19:42:23 +04'00'